

ა.(ა.)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების
მართვის ცენტრის

2020 წლის საქმიანობის ანგარიში

ა.(ა.)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი დაფუძნდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის N 78 განკარგულებისა და 2018 წლის 11 ნოემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის N5778 ბრძანების საფუძველზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 დეკემბრის N 6201 ბრძანებით განისაზღვრა ქ. ოზურგეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილები.

1. ჭანტურიას ქუჩა;
2. გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა;
3. გურიის ქუჩა;
4. აპოლონ წულაშის ქუჩა;
5. ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა;
6. იოანე პეტრიწის ქუჩა.

ამავე ბრძანებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრს დაევალა პარკირების ადგილების სათანადო წესით მოწესრიგება და მართვა.

პარკირების მართვის ცენტრს დაუდგინდა 5 სამტატო ერთეული: დირექტორი, ბუალტერი, მონიტორინგის სამსახურის უფროსი, მონიტორინგის სამსახურის ინსპექტორი და ოპერატორთა ჯგუფის უფროსი. მათი ყოველთვიური სახელფასო განაკვეთი შეადგენს 4 350 ლარს. ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული მონიტორინგის სამსახურის კოორდინატორთან და დამლაგებელთან, რომელთა ხელფასიც განსაზღვრულია შესაბამისად 60 და 300 ლარის ოდენობით თვეში.

საპარკინგე ადგილები განსაზღვრულია 18 ლოკაციით, ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა 36 ოპერატორი. დღევანდელი მდგომარეობით, ამ პოზაციაზე დასაქმებულია 24 ოპერატორი, რომელთა ხელფასი განსაზღვრულია ტალონების რეალიზაციიდან მობილიზებული თანხის 40 %-ის ოდენობით.

2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ივლისის ჩათვლით ავტოტრანსპორტის პარკირებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 57 270 ლარი. თანხების შემოდინების დინამიკა თვეების მიხედვით ასეთია:

- 2020 წლის იანვარი - 6 680 ლარი
- 2020 წლის თებერვალი - 6 120 ლარი
- 2020 წლის მარტი - 3 720 ლარი
- 2020 წლის აპრილი - 0 ლარი
- 2020 წლის მაისი - 2 390 ლარი
- 2020 წლის ივნისი - 6 130 ლარი

2020 წლის ივლისი - 6 650 ლარი
2020 წლის აგვისტო - 6 860 ლარი
2020 წლის სექტემბერი - 6 240
2020 წლის ოქტომბერი - 6 210
2020 წლის ნოემბერი - 6 270

2020 წლის იანვარ - ნოემბრის პერიოდში დარიცხულმა ხელფასმა შეადგინა 53 640 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით გადახდილია 9 410 ლარი. სპეციალური პარკირების ქვითრების დაბეჭდვის ხარჯმა შეადგინა 2 060 ლარი. დანარჩენმა საოფისე ხარჯებმა შეადგინა 544 ლარი.

დაგეგმილი გვაქვს 2021 წლის გაზაფხულზე იოანე პეტრიწის ქუჩაზე (იუსტიციის სახლისა და ჭადრების ბაღის მიმდებარე ტერიტორია) ავითვისოთ და მოვაწესრიგოთ ახალი საპარკინგე ადგილები. პარალელურ რეჟიმში გავაგრძელებთ ქალაქში არსებული საპარკინგე ადგილების საგზაო მონიშვნასთან (დახაზვასთან) დაკავშირებულ სამუშაოებს.

2020 წლის გაზაფხულზე, კორონავირუსის გავრცელების გამო, პარკირების მართვის ცენტრმა 2 თვით შაჩერა საქმიანობა, რის გამოც, შემცირებული იქნა ავტოტრანსპორტის პარკირებდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნულ პერიოდში მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები პერიოდულად ახორციელებდნენ საპარკინგე ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესწავლას. დადგინდა, რომ რადგან საპარკინგე ადგილებზე ტრანსპორტის პარკირების პროცესს ოპერატორები არ აკონტროლებდნენ, ხშირად პარკირება ელემენტარული წესების დაცვის გარეშე ხორციელდებოდა, რაც იწვევდა ავარიული სიტუაციებისა და საცობების შექმნას. რამდენჯერმე დაფიქსირდა სატრანსპორტო საშუალებების დაზიანების შემთხვევა. საქმიანობის განახლების შემდეგ საპარკინგე ადგილებზე პარკირების წესების დარღვევის შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი. თითქმის სრულად არის აღმოფხვრილი პარკირების პროცესში მყოფი ავტომობილების კომერციული მიზნებისათვის გამოყენების შემთხვევები.

მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ოპერატორთა გარკვეული ნაწილი საქმიანობას წარმართავს პარკირების ქვითრების ნაწილობრივი გამოყენებით. ეს პრობლემა ისევ გადაუჭრელია. მიზეზი კადრების მწვავე დეფიციტია. პარკირების ცენტრს შეუფერხებელი საქმიანობისათვის ესაჭიროება 36 ოპერატორი, ამჟამად კი დასაქმებულია 24 ოპერატორი. ასეთ პირობებში მათ მიმართ ვერ ხერხდება გადამჭრელი ღონისძიებების გატარება. მიუხედავად ჩვენი ყოველდღიური მცდელობისა, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პირობებში ქვეყანაში სამუშაოადგილები შემცირდა, ჩვენს სფეროში კადრების მწვავე დეფიციტია, რაც უარყოფით ზეგავლენას ადენს პარკირების მართვის ცენტრის საქმიანობაზე.

ა.(ა.)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების

მართვის ცენტრის

დირექტორი: რ. გოგიტაური